ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4724044

ნომერი: AR1710699

თარიღი : 03.10.2019

გაცემის თარიღი : 24.10.2019

გაცნობის თარიღი : 24.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , სატყეო უბანი , (ნაკვეთები N8/22, N8/23, N8/24);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად ხაჩიძე პ/ნ 01009002508
- თბილისი, ნინო ჟვანიას ქუჩა, #2

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 2006 წლის 31 ივლისის №37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 03 ოქტომბერს AR1710699განცხადებით მომართა ზვიად ხაჩიძემდა მოითხოვა გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 2006 წლის 31 ივლისის №37 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმის დამატებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 2006 წლის 31 ივლისის №37 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სატყეო უბანში (ნაკვ. #8/22, #8/23 და ნაკვ.8/24) #01.20.01.008.025 (5800.00 კვ.მ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის განთავსების მიზნით დამტკიცდა არქიტექტურულ გეგმარებითი დავალება.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საკადასტრო კოდი და ფართობი.
დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 2006 წლის 31 ივლისის №37 ბრძანებაში ცვლილებას და ახალი საკადასტრო გეგმის (ს/კ N 01.20.01.008.051) დამატებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 2006 წლის 31 ივლისის №37 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 2006 წლის 31 ივლისის №37ბრძანებაში, კერძოდ: დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: ს/კ N 01.20.01.008.051, ფართობი 5772,00 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N 892012147949; რეგისტრაციის თარიღი 14.12.12წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 892018700579, რეგისტრაციის თარიღი 09/08/2018 წ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 2006 წლის 31 ივლისის №37 ბრძანებით დამტკიცებულ არქიტექტურულ გეგმარებით დავალებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.